ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 4726035001**

თარიღი:**04/02/2026**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 1

დ. ჩოხატაური 27 იანვარი, 2026 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: მარიტა მგალობლიშვილი, დავით მინდაძე, ქეთევან სიხარულიძე, აკაკი ყაჭეიშვილი, გოჩა ჯიქია, თემურ ხუხუნაიშვილი, მაია კუტუბიძე, ნოდარ ცხომელიძე, ლაშა თოლორდავა, კობა კალანდაძე.

არ ესწრებოდა: დავით შარაშიძე, ლაშა სხვიტარიძე.

მოწვეული:

მერაბ ბერძენიშვილი- მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი;

ვალერი ყაჭეიშვილი - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი;

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ნათია ცინცაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში;

ნინო მგალობლიშვილი - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული

წარმოების დაწყების თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუწიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

5. ინფორმაცია, 2025 წელში საფინანსო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

6. ინფორმაცია მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

7. კომისიის წევრის მარინე ბერაძის კომისიის შემადგენლობიდან ამოღების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუწიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

3. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

5. ინფორმაცია, 2025 წელში საფინანსო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

6. ინფორმაცია მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

7. კომისიის წევრის მარინე ბერაძის კომისიის შემადგენლობიდან ამოღების შესახებ.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

I საკითხი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

<u>მოისმინეს :</u>

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის

ქონების მართვის განყოფილების უფროსი ვალერი ყაჭეიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

II საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუწიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუწიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა: ვლადიმერ სიხარულიძე დაინტერესდა, გასულ წელს, თოვლით გამოწვეული სტიქიის გამო, გამოყოფილი თანხის ნაწილი დაბრუნდა უკან, რამ გამოიწვია თანხების აუთვისებლობა.

მაია გოგოლაძე: როცა მოხდა სტიქიით გამოწვეული ზარალის დათვლა, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ და მოხდა დაანგარიშება, რა მოცულობის სახურავი იყო საჭირო, ამის შემდეგ გაირკვა, რომ სახლების გარკვეული ნაწილი აღარ ექვემდებარებოდა გადახურვას, ის საჭიროებდა სრულ რეაბილიტაციას. შესაბამისად, მოხდა თანხების გამოთავისუფლება და უკან დაბრუნება.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბერის №22 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუწიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

III საკითხი: საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ 2025 წლის 30 დეკემბრის ხელშეკრულების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

IV საკითხი: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

<u>მოისმინეს :</u>

4. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026-2027 წლებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ დიდი ვანი-შუა სურების გზის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილია 600,0 ათასი ლარი რეგიონალური განვითარების ფონდიდან, მაშინ, როცა შეიძლებოდა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან დაფინასებულიყო, თან, დიდი ალბათობით, გამოყოფილი თანხა არ იქნება საკმარისი აღნიშნული გზის სრული რეაბილიტაციისთვის.

მერაბ ბერძენიშვილი: მიმდინარეობს მოლაპარაკება მუნიციპალური განვითარების ფონდთან და რამდენადაც მოხდება შეთანხმება, იმის მიხედვით განხორციელდება აღნიშნული პროექტი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 11

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 11 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2026-2027 წლებში ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, შენიშვნის გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად (პროექტი იხ. chokhatauri.gov.ge-ზე).

V საკითხი: ინფორმაცია, 2025 წელში საფინანსო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

5. ინფორმაცია, 2025 წელში საფინანსო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

აზრი გამოთქვა:

ვლადიმერ სიხარულიძემ, რომელმაც კომისიის სახელით მადლობა გადაუხადა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს მაია გოგოლაძეს, ნაყოფიერი და წარმატებული მუშაობისთვის.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია 2025 წელში საფინანსო სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

VI საკითხი: ინფორმაცია მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

6. ინფორმაცია მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა და ცნობად მიიღო ინფორმაცია, მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ (თან ერთვის).

VII საკითხი: კომისიის წევრის მარინე ბერაძის კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

7. კომისიის წევრის მარინე ბერაძის კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ ცნობად მიიღო კომისიის წევრის მარინე ბერაძის კომისიის შემადგენლობიდან გასვლის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი